

სალოგოზირდა ვეროელო

განეთი ფმორის
1921 წლოინს

სალოგოზირდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გახათი

შასი 8 კავ.

უფლები არი აქვს...

საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის 70-ე მუხლის ძალით საქართველოს ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ძალით „მდკავშირე რესპუბლიკის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე“ (მუხ. 7). ამავე კონსტიტუციის 82-ე მუხლით „ავტონომიური რესპუბლიკა მოკავშირე რესპუბლიკის შემადგენლობაშია“. იგივეს ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის 79-ე მუხლი. სსრ კავშირის კონსტიტუციით ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია უნდა შეესაბამებოდეს სსრ კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციებს, ავტონომიური რესპუბლიკის თავისებურებათა გათვალისწინებით (მუხ. 82). იგივეს შიითხოვს საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის 79-ე მუხლი.

რაც მთავარია, სსრ კავშირის კონსტიტუციის ძალით საქართველო, ისევე როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკები, სუვერენული სახელმწიფოა (მუხ. 9), რომელსაც აქვს სსრ კავშირიდან თავისუფალი გასვლის უფლება (მუხ. 72). ასეთი უფლება ავტონომიური რესპუბლიკას არა აქვს, იგი მოკავშირე რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილია და მისი სტატუსის რეგლამენტაცია შეიძლება ხდებოდეს მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკის თანხმობით. ამიტომ ავტონომიური რესპუბლიკის, თუ რომელიმე სხვა სახის ავტონომიური წარმონაქმნის, წადილი შეცვალონ არსებული მდგომარეობა, შეიძლება რეალურად იქნეს მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკის ხელისუფლებასთან მოლაპარაკების შედეგად, ურთიერთინტერესების გათვალისწინებით.

საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუცია საგანგებოდ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ „საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო განიხილავს საქართველოს სსრ საზღვრებთან დაკავშირებულ საკითხებს „და“ იღებს გადაწყვეტილებებს ეროვნულ-სახელმწიფო მოწყობის საკითხებზე, რომლებიც საქართველოს სსრ გამგებლობის გახეკუთვნება“ (მუხ. 104, 2) და 3)). სსრ კავშირის კონსტიტუციის ძალით კი სსრკ საბაზო დეპუტატთა ყრილობას ან უზენაეს საბჭოს შეუძლია განიხილოს და დაამტკიცოს მხოლოდ ახალი ავტონომიური რესპუბლიკების შექმნის საკითხი, რაც მოკავშირე რესპუბლიკის წარდგინებით უნდა მოხდეს. აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციით ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო უფლებამოსილია გადაწყვიტოს მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც გადაეცა მის გამგებლობას სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის ძალით (მუხ. 93), რაც ასახულია კიდევაც აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის სათანადო მუხლებში (მუხ. 64-71). არსად, ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები აფხაზეთის სუვერენიტეტსა თუ საქართველოდან თავისუფალი გასვლის უფლების შესახებ.

ასეთია ფორმალური სამართლებრივი საფუძველი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ მიღებული დეკლარაციისა და დადგენილების უკანონობისა და იურიდიული ძალის აბქონვ აქტებად აღიარებისა. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს ევალება უზრუნველყოს საქართველოს სსრ კონსტიტუციის მოქმედება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, „საქართველოს სსრ კანონები სავალდებულოა და ერთნაირი ძალა აქვთ ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე, იმ შემთხვევაში, თუ ავტონომიური რესპუბლიკის კანონები არ ეთანხმება საქართველოს სსრ კანონს, მოქმედებს საქართველოს სსრ კანონი“ (მუხ. 82).

ამასთან ერთად, დეკლარაცია და დადგენილება აშკარად შეიცვალა თვით აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებში, რაც მხოლოდ ყველა დეპუტატის ორი მესამედის თანხმობით შეიძლება მოხდეს. აღნიშნული აქტები კი მიღებული იყო ძალმოშრების გამოყენებით, ქვორუმის მიხმუმის შეკონფიებით და დეპუტატთა საერთო რიცხვის თითქმის ნახევრის დაუსწრებლად, მათი უარყოფითი მხრის იგნორირებით. ამგვარად უზრუნველყოფილი იქნა არა მარტო ძირძველი ქართველი მოსახლეობის ნება, არამედ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლების აზრიც.

რაც შეეხება აფხაზი ექსტრემისტების წადილს „აღადგინონ 1921 წლის დამოუკიდებლობის სტატუსი“ და მოახდინონ „აფხაზი ერის“ თვითგამორკვევის უფლების რეალიზაცია, ეს განსაკუთრებული საკითხია, იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობისა და საქართველოს გასაბჭოების პერიოდში მომხდარი მოვლენების კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რაც რკპ (ბ)-ს კავკასიური ბიუროს ანტიქართულ პოლიტიკასთან არის დაკავშირებული, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაქუცმაცებისკენ იყო მიმართული.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნისა და განვითარების ნამდვილი ისტორია ცოტა ხანში საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმთან შექმნილი კომისიის დასკვნებში აისახება, რაც ერთხელ და სამუდამოდ მოფენს ნათელს და გააბათილებს დადგენილებასა და დეკლარაციაში არსებულ უხეშად დამახინჯებულ ფაქტებსა და უსამართლო მტკიცებებს.

და ბოლოს, ის ტენდენციები, რომლებიც გამოიხატება დღეს ავტონომიური წარმონაქმნის მიმართ და რაც სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ზოგიერთ კანონში გამოიხატება (ცნობილია, რომ საქართველოს სსრ არ ცნობს მათ მოქმედებას თავის ტერიტორიაზე), შეიძლება სამართლიანად ვილიაროთ რსდსრ-ის სინამდვილისათვის, სადაც თითქმის ყველა ავტონომიური წარმონაქმნი, განსაკუთრებით ავტონომიური რესპუბლიკები, თავის ისტორიულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ და მხოლოდ რამდენიმე საუკუნის წინათ დაპყრობილ ან შემოერთებულ იქნა რუსეთის მიერ. მათ ყველას თვითგამორკვევის უფლების ყველა ატრიბუტი გააჩნია, და მათი პრეტენზია თავისუფლების დაბრუნებისა სამართლიანია. საქართველოს არავინ დაუპყრია, მისი ტერიტორიის ყველა კუთხეში ძირძველი ქართველი მოსახლეობა ცხოვრობს და არავის აქვს უფლება, თუნდაც საუკუნეების მანძილზე გვერდით მცხოვრებ ხალხებს, უგულვებელყოს ამ მრავალტანჯული ხალხის ნება, რომელიც ორიათას წელიწადს იბრძოდა და იბრძვის თავის სახელმწიფო ტერიტორიის ხელშეუხებლობისათვის.

ლევან ალექსიძე

სალოგოზირდო- ვის საზოგადოება?

კუბიშვი. მეტალურგიული საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი მ. ბ. ოლოდენკო იჯარით დაქირავებულ თვითმფრინავებს და მანქანებს სისტემატურად ავზავის „თამბაქოს ცენტრებში“ — მორშანსკში, ბათუმში, ლურსუნ-ზადეში და სხვა ქალაქებში. თბილისში რეისი იქით და აქეთ, რითაც 40000 კოლოფი სიგარეტი იქნა ჩამოტანილი, თითქმის 1,5 ათასი მანეთი დაჯდა. სიგარეტის ღირებულების დაახლოებით 30 პროცენტი ტრანსპორტირებაზე იხარჯება, რის დაფარვასაც გაერთიანება თავის თავზე იღებს.

ჩვენი მინაწერი

გახეთ „კომსომოლსკაია პრადას“ 25 აგვისტოს ეს ინფორმაცია (რომელიც სათანადო კომენტარით 28 აგვისტოს საინფორმაციო პროგრამა „პიკეტი“ გადაიცა), აღბათ ბევრმა წაიკითხა და აღშოთებულ იქნა.

საინტერესოა, მაშინ, როცა რესპუბლიკაში სიგარეტის არნახული დეფიციტია, როცა ჩვენი წარმოების 70-კაციანი „კომსომო“ დღისით-მზისით 8 მანეთად იყიდება (ცინსამარაგებს სპეკულანტებს, იმედია, ამას სათანადო ორგანოები გამოირკვევენ), რით გამართლებენ „თბილთამბაქოს“ მესვეურები მსგავს ხელგაშლილობას?

პატივცემული მკითხველო, „თბილთამბაქოდან“ მიღებულ პასუხს ოპერატიულად გავაცნობთ.




- ეს კადრები ჩვენმა
- ფოტოკორესპონდენტმა
- გუშინ დილით გადაიღო.
- რედაქცია ურჩავს ვეალს,
- ვისაც მირ შიხვა ნანატრი
- სიგარეტი და უშვლიაბელ
- რიგში ტაშელუბრალოდ
- დაიგზვრია თავ-პირი,
- მიაკითხოს გაერთიანება
- „თბილთამბაქოს“.
- გარფშენაბთ, იმ
- აუცილებლად
- შომოგთავაზობინ საციალურ
- „ჩამოსხმას“.

სალოგოზირდა

ეროვნული

ბიბლიოთეკა



„საპარტიზოლო“ შენ ვინ მოგ-
ცა შეიღო დასაჯარგავა“ — ქარ-
თველი კაცის მოყვასის სიყვარუ-
ლით გამოთბარ ამ სიტყვებში სა-
ქართველოს ისტორიის ბედსა და
სამართალს ხანს. რაოდენობრივი
სიმცირე იყო მუდამ ჩვენი სატი-
რალი და დღესაც ყველა ქართვე-
ლისათვის, ვისაც გათვალისწინე-
ბული აქვს საუკუნეების მანძილ-
ზე მეზობელი იმპერიების მიერ
გატარებული ანტიქართული დე-
მოკრაფიული პოლიტიკის შედეგ-
ები, უარესად მტკივნეულია ამ
სიტყვების მნიშვნელობა.

დღეს, საქართველოს გარეთ, კე-
ვირის სხვადასხვა ქალაქში
ორასათასამდე ქართველი ცხოვ-
რობს. ისეთი მცირერიცხოვანი
ერასაუკუნო, როგორც ჩვენ ვართ,
ეს მაჩვენებელი არც თუ ისე ცო-
ტაა. გვირგვინი შეგვიხოთ ერთ სა-
კითხს, რომელიც პირდაპირ კე-
ვირშია მიგრაციული პროცესების
ცნობილია, რომ საქართველოს გა-
რეთ ამჟამად დაახლოებით ოცდა-
ათი ათასი სტუდენტი იღებს
განათლებას. მიგრაციის ამ სა-
ხის მექანიზმი ძირითადად ასე-
თი ხასიათისაა: — ახალგაზრ-
და მდიდს სხვა რესპუბლი-
კაში სწავლის მისაღებად, ხდება
სტუდენტო, უმეტეს შემთხვევაში,
ბევრად უფრო ადვილად, ვიდრე ეს
საქართველოში შეიძლებოდა და
როგორც იტყვიან, ახალგაზრდობის
საუკეთესო წლებს ატარებს სა-
შობლოდან შორს. ამ ხნის განმ-
ავლობაში თანდათან ეგუება, შე-
დგომ ეთვისება კოლექტურ ცხოვ-
რების. როგორც ცნობილია, ინს-
ტიტუტების დიდი ნაწილი არ იმ-
დღევე თავისუფალ განაწილებას,
ამიტომ კურსდამთავრებული იძუ-
ლებულია მინიმუმ სამი წელი ამ-
უშაოს განაწილებით. იგი მდიდს იმ
ქალაქში, სადაც ინსტიტუტი ატა-
ვის, ხშირ შემთხვევაში ქმნის
ოჯახს, საწარმო აკმაყოფილებს სა-
ცხოვრებელი ფართობი და ნორ-
მალური (ჩვენს პირობებში) ხელ-
ფასით და ბოლოს ამოიწმინდება,
რომ საქართველოში დაბრუნების
შემთხვევაში რესპუბლიკა ვერ შე-
ეძინის ანალოგიური პირობებს და
იგი ნებით თუ უნებლიედ რჩება სა-
შობლოს გარეთ.

არ გვირგვინი, მკითხველმა ისე გა-
ვიგოს, თითქოს წინააღმდეგი ვი-
ყოთ იმისა, რომ ქართველმა ახა-
ლგაზრდამ რესპუბლიკის გარეთ მი-
ღის უმალესი განათლება. ყვე-
ლადასათვის ცნობილია, რომ ჩვენი
მეცნიერების, ლიტერატურისა და
კულტურის თვალსაჩინო წარმომ-
ადგენლების დიდი ნაწილია განა-
თლება უცხოეთში მიიღო. ისინი,
დიდად, უცხოეთში დაუფლენ გა-
ნათლებას, მაგრამ სამშობლოს და
შშობელ ხალხს მოახსარებს იგი.
საქართველოს დღესაც ქართველ-
ეგრობაზე, ამერიკულ, თურქულ იგ-
ვი რუსულ განათლებას ნაზიარე-
ბა სპეციალისტები. ჩვენ მივესალ-
მებით ახალგაზრდის შემართვას
სწავლებას — მიღობს განათლება,
გზიაროს ცოდნას, დაეუფლოს სპე-
ციალობას. მაგრამ, ალბათ, არ
გვაქვს უფლება პირში წყალი ჩა-
ვივებოთ, როდესაც ნათლად ვხე-
დავთ, რომ ჩვენი ახალგაზრდობის
მნიშვნელოვანი ნაწილი ცოდნის
და განათლების მიღებას კი არ ეს-
წარაფვის, სასწავლებლად და გო-
ნების სავარჯიშოდ კი არ მიღის სა-
შობლოდან, არამედ იმ მიზნით,
რომ დაპოვონ ჩამოიჭნან, დამ-
ლობი, რომლის უკან არ დგას სპე-
ციალისტი, რომელიც არ არის
ჩვენი უფროსი კოლეგა, რომელ-
საც იგი რეალურად გამოიყენებს,
თითონაც მოიხმარს და ქვეყანა-
საც მოახმარს (რა თქმა უნდა, ეს
ყველას არ ეხება). არ გვირგვინი-
მე არასწორად გავვიგოს, თითქოს
ჩვენ თითონ სტუდენტებს ვსაყ-
ვედურობდეთ. ამ მახინჯ მოვლენას
უფროსი რბმა ვხედავთ აქვს. ამის
მიზეზები ჩვენი ცხოვრების წეს-
ში, ჩვენს არაქანსა და საზოგადოებ-
რივ ცნობიერებაში, გაუქმდარი-
თებულ საზოგადოებრივ ფსიქო-
ლოგიაში უნდა ვეძებოთ. არაკის-
თვის საიდუმლოს არ წარმოად-
გენს ის ფაქტი, რომ ათეული წლე-
ბის განმავლობაში ფორმალურად
ისე მყარად ჰქონდა ფესვები გად-
გებული ჩვენს ყოფაში, რომ „ცარი-
ელა“ დამლობით შესაძლებელი
იყო „ბრწყინვალე“ კარიერის გა-
კეთება, უზრუნველყოფილი ცხოვ-
რების მოწყობა. დღესაც მაცულ-
ნებლად უფროსი ჩანსა და აზრობე-
ბისათვის არაფრისმეტყველო სიტყ-
ვები: „დიპლომატი სისიძე“, „დი-
პლომატი სარძილი“ და სხვა.

კრიტიკა ადვილია. მას აზრი მხო-
ლოდ ჰქონდა აქვს, როცა კრიტიკო-
ნი პრობლემის გადაწყვეტის ვა-
რიანტს გვთავაზობს. ჩვენ შორს

ვართ ამ სერიოზული პრობლემის
გადაწყვეტის პერტენზიისაგან,
მხოლოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ
მათი მთლიანი გადაჭრა არ არის
დამოკიდებული ვინმეს კეთილ ნე-
ბაზე.

ცნობილია, რომ ჩვენი რესპუბ-
ლიკა ჩვენსავე უმალესი სასწავ-
ლებლების კურსდამთავრებულთა
დღე ნაწილსაც ვერ აკმაყოფილებს
სამშრომლო. აქედან ცხვლია, რომ
საქართველოს ამჟამად არ ჰქონდა
ამდენი დიპლომატი (და არა გა-
ნათლებული) ახალგაზრდა. ამასთა-
ნავე, არ არსებობს მორალური და
იურიდიული პრინციპები, რომლი-
თაც ახალგაზრდას ავუქრძალავთ
მისწრაფებას გახდეს სტუდენტი.
ამ პრობლემის გადაჭრისათვის,
ჩვენის აზრით, საჭიროა შეიცვა-
ლოს თვითონ ჩვენი ცხოვრების
წესი, აუცილებელია ავანგრანთ
თვითრეგულირებადი საზოგადოე-
ბა, ფართოდ გავუღვლით კარი კონ-
კურენციის პრინციპს, ისე რო-
გორც ეს ხდება დასავლეთის ცი-

რა უჭირთ, რა ულხინთ

საქართველოს ფარგლებს გარეთ მოსწავლე ქართველ სტუდენტთა სატკივარი

ვილიზებულ ქვეყნებში, როდესაც
დიპლომი (როგორც ნებისმიერი
სხვა ღირებულება) კარგავს ყოვე-
ლკარ აზრს, თუ მისი შესაბამისი
ცოდნა კონკურენციის უნარს მოკ-
ლებულია.

ჩვენი სტატის მიზანია პრობლე-
მა განვიხილოთ როგორც ერთ-
ნული სატკივარი სოციალური
დემოკრაფიის თვალსაზრისით.
რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის,
რომ საქართველოს გარეთ მოს-
წავლე მრავალათასიანი ქართველი
სტუდენტობა — ეს უძვირფასესი
სიკეთესი სიმდიდრე — რაც
შეიძლება უმტკივნეულოდ და
სრულყოფილად დაუბრუნოთ
სამშობლოს, გულთან მივიტანოთ
მათი სატკივარი და ვაგრძობოთ
ერთი თანადგობა და სიბრძნე.

უნივერსიტეტის სოციოლოგის
კათედრამ ამ ორიოდ წლის
წინათ შეისწავლა ივანე ჯავახი-
შვილის ხელნაწერი, რომელიც
ჩვენი აზრით, არის პირველი სო-
ციოლოგიური კითხვარი ქართულ
სინამდვილეში. უაღრესად საინ-
ტერესოა, რომ ეს კითხვარი, რომელიც
შემუშავებულია 1911-12
წლებში, შედგენილია იმ მიზნით,
რომ მისი გამოყენებით შესწავ-
ლილიყო ქართველი სტუდენტობა,
რომელიც, ცხადია, განათლე-
ბას საქართველოს გარეთ, რუსე-
თის იმპერიის ქალაქებში და
უცხოეთში ღებულბდა. კითხვა-
რების თითქმის ყველა მომენტს
და პრობლემას. მასალების ვაც-
ნობისას თვალში გვეცმით დიდი
მეცნიერისა და მამულთმშობლის
საოცარი გულისხმიერება და სით-
ბო, რომელითაც იგი ეკიდებოდა
ქართველებს, რომლებიც სწავ-
ლობდნენ სამშობლოდან შორს.
აღნიშნულ კითხვართან ერთად
შემონახულია პირადი წერილე-
ბიც, რომლითაც ივანე ჯავახი-
შვილი უფრო დაწერილობით ეც-
ნობოდა ქართველ სტუდენტობას,
მათ სწავლასთან და ცხოვრებას-
თან დაკავშირებულ საკითხებს.
ამ წერილებიდან ირკვევა, რომ
იგი არა მარტო მორალურ დახე-
მარებას და თანადგომას უწყე-
ბდა მათ, არამედ მატერიალურა-
დაც უმართავდა ზოგიერთ მათ-
განს ხელს. სამწუხაროა, რომ ამ
საკითხს ივანე ჯავახიშვილის მე-
რე არ მიქცევა ჩეროვანი ყუ-
რადლება.

საქართველოს სოციოლოგთა
ასოციაციამ, უნივერსიტეტის სო-
ციოლოგის კათედრამ, რომელ-
თათვისაც სერიოზული ზიანი იყო
ზემოთმოყვანილი ფაქტის კონს-
ტანტაცია, გადაწყვიტა სოციო-
ლოგიური მეთოდების გამოყენე-
ბით შესწავლა აღნიშნული პრო-
ბლემა. ამ მიზნით ვესტუმრეთ
ლატვიის, ესტონეთის, უკრაინისა
და რუსეთის სხვადასხვა ქალა-
ქებს, სადაც შევხვდით სტუდენ-
ტებს საქართველოდან და ჩავა-
ტარეთ მათთან სათანადო სამუ-

შაო, სტუდენტებთან შეხვედრა
გვიმონდა ინსტიტუტებში, სათეს-
ტომოებში, საზოგადოებებში, სტუ-
დენტთა საერთო საცხოვრებლებ-
ში, კერძო თუ ნაქირავებ ბი-
ნეში, ოჯახებში. დღეს ჩვენს მი-
ზანს არ შეადგენს კონკრეტულ-
სოციოლოგიური გამოკვლევების
შედეგების გადმოცემა. საჭიროდ
მიგვაჩნია, ქართველ საზოგადო-
ებას გაუზიაროთ ის შთაბეჭდი-
ლებები, რომლითაც დაგბრუნ-
დით საქართველოში.

უბიკველეს ყოვლისა, უნდა
აღვნიშნოთ, რომ ყველა ქალაქ-
ში, ყველა ინსტიტუტში დიდი
სიბრძნით, ინტერესითა და ერთ-
გვარი მადლიერების გრძობი-
თაც გვხვდებოდნენ სტუდენტები
საქართველოდან. არ უჩინდა ბო-
ლი მათ მიერ დასმულ კითხვებს,
მათ მიერ წამოჭრილ საკითხებს.
მათ აინტერესებთ ყველაფერი.
უბრალო წერილმანიც კი იმის
შესახებ, რაც საქართველოში

მი სწავლობენ: ტალინში, ტარ-
ტუსა და კობლა იეროში, ესტო-
ნეთში არ არის ქართველთა სა-
თვისტომოები, თუმცა ქართვე-
ლებს უმეტესობას ერთმანეთთან
მჭიდრო კავშირი აქვთ. ესტონეთ-
ში ეროვნული მოძრაობა საკმაოდ
დაძაბულად მიდის, ამის მიზეზია
ძლიერი ინტერფერენტული მოძ-
რაობა. ეს ყველაფერი, ცხადია,
ქართველი სტუდენტების ცხოვ-
რებაზეც ახდენს გავლენას. ჩვენ-
თან შეხვედრებზე მათ არაერთ-
ხელ აღნიშნეს, რომ ესტონეთის
მოავრობას გადაწყვეტილი აქვს
ფული ესტონური ერთეულის
მოჭრა, სტუდენტები ვევიტხე-
ბოდნენ, რა შეიძლება ამას მოყ-
ვეს, ხომ არ გააუარესებს ეს მათ,
ისედაც ნაკლებად უზრუნველყო-
ფილ, მატერიალურ მდგომარეო-
ბას.

ბევრ ქართველ სტუდენტს,
რომელიც ესტონეთში სწავლობს,
დიდი სურვილი აქვს საქართვე-

ხდება. უმეტესმა მათგანმა აღ-
ნიშნა, რომ საქართველოში წე-
ლიწადში 2-3-ჯერ თუ აზრებს
ჩამოსვლას, იქ კი მოკლებული
არაინ ქართულ პრესას, სწორ
ინფორმაციას საქართველოში ასე-
თი ინტენსივობითა და ასე სწრა-
ფად მიმდინარე პოლიტიკური და
ეროვნული მოძრაობის შესახებ.
ამის გამო მათ კიდევ უფრო
უძაფრდებოთ სამშობლოსაგან მო-
წყვეტილობის უსიამოვნო განც-
და. უმეტესი მათგანის დაყენე-
ბული თხოვნაა, რაკი რესპუბლი-
კა დაინტერესდა მათი პრობლე-
მებით, არ გაწყდეს ეს კავშირი.
მათ მიანიშნა, რომ აუცილებელი
საქართველოში ჩამოყალიბებული
პარტიების, დაგვუფლებების, ახალ-
გაზრდული კლუბების წარმომად-
გენლები ჩავიდნენ, ესტუმრონ
მათ, ჩაიტანონ ინფორმაცია, ჩა-
აბაიონ შეხვედრები, საღამოე-
ბი, წაიკითხონ ლექციები, გააჩ-
კიონ და უფრო დაახლოვონ
ერთგულ მოძრაობასთან. ასეთი
თხოვნები მოგვმართავდნენ ყველა
ქალაქში.

სასიამოვნოა იმის აღნიშვნა,
რომ ბევრი ქართველი სტუდენ-
ტი სასარგებლო და საინტერესო
ცხოვრებასა და საქმიანობას ეწე-
ვა. მაგალითად რიგაში, სადაც
350-400 სტუდენტად იმ სწავლობს
ჩვენი რესპუბლიკიდან, არის ჩა-
მოყალიბებული ქართველ სტუ-
დენტთა სათვისტომო, რომელ-
საც თავაკობს რიგის უნივერსი-
ტეტის იურიდიული ფაკულტეტის
სტუდენტი ბესო ბერაძე. სათვის-
ტომო აქტიურ მონაწილეობას
ღებულობს ლატვიელი ხალხის
ბრძოლაში თავისუფლებისათვის.
ბესოდ ჩვენთან საუბარში განა-
ცხადა: „შხარს ვუქვით რა ექ-
ტიურად ლატვიელი ხალხის ბო-
ლიტიკურ მოძრაობას, ჩვენ ამით
საქართველოდან შორს საქართვე-
ლოს დამოუკიდებლობისათვის
ვებრძობით“.

მისასაღებელია, რომ საქარ-
ველოს სახალხო ფრონტი ყურად-
ღებებს არ აკლებს რიგის ქარ-
თველ სტუდენტობას. თვე ისე არ
გვივლის, რომ ამ ორგანიზაცი-
იდან ვინმე არ ჩავიდეს რიგაში,
არ ჩაიტანოს ახალი ქართული
კურსალ-გაზეთები, საინტერესო
ინფორმაცია. ფრონტელები ცდი-
ლობენ დაეხმარონ თითოეულ
სტუდენტს მათი კონკრეტული
პრობლემების გადაწყვეტაში.
ამითაც, ალბათ, განპირობებუ-
ლი ის, რომ რიგის ქართველი
სტუდენტობა სხვა ქალაქის ქარ-
თველ სტუდენტებთან შედარებით
უმტკივნეულოდ ატარებს თავის
სტუდენტურ ცხოვრებას სამშობ-
ლოსგან მოწყვეტით.

სამწუხაროა, რომ სხვა ქალა-
ქების ქართველი სტუდენტობა
მოკლებულია ამ ყურადღებას.
ეს ითქმის ესტონეთში მოსწავლე
ქართველებზეც. ქართველები ძი-
რითადად ესტონეთის სიმ ქალაქ-

ში სწავლობენ: ტალინში, ტარ-
ტუსა და კობლა იეროში, ესტო-
ნეთში არ არის ქართველთა სა-
თვისტომოები, თუმცა ქართვე-
ლებს უმეტესობას ერთმანეთთან
მჭიდრო კავშირი აქვთ. ესტონეთ-
ში ეროვნული მოძრაობა საკმაოდ
დაძაბულად მიდის, ამის მიზეზია
ძლიერი ინტერფერენტული მოძ-
რაობა. ეს ყველაფერი, ცხადია,
ქართველი სტუდენტების ცხოვ-
რებაზეც ახდენს გავლენას. ჩვენ-
თან შეხვედრებზე მათ არაერთ-
ხელ აღნიშნეს, რომ ესტონეთის
მოავრობას გადაწყვეტილი აქვს
ფული ესტონური ერთეულის
მოჭრა, სტუდენტები ვევიტხე-
ბოდნენ, რა შეიძლება ამას მოყ-
ვეს, ხომ არ გააუარესებს ეს მათ,
ისედაც ნაკლებად უზრუნველყო-
ფილ, მატერიალურ მდგომარეო-
ბას.

ლოში გააგრძელოს სწავლა. ეს
ტენდენცია გამოვკვთა სხვა ქა-
ლაქებშიც: ლენინგრადში, მოს-
კოვში, ხარკოვში და განსაკუთ-
რებით როსტოვში. ზოგიერთი
ქართველი სტუდენტი საკმაოდ
არასასურველ მდგომარეობაშია
ამ მხრივ. ეს იხება ქართველ
გოგონებს, რომელთაც უფრო
უჭირთ შეგუება არაქართულ გა-
რემოსთან, ოჯახთან, რომელ-
თაც ერთი და მეტი შვილი ჰყავთ
და იმათაც, ვის განმრთელობაზეც
უარყოფითად იმოქმედა გარემოს
უცვლად. რესპუბლიკა, ალბათ,
ვალდებულია დაუყოვნებლივ და-
ეხმაროს მათ.

ლენინგრადში, სადაც ქართვე-
ლი სტუდენტები დიდი რაოდენო-
ბით სწავლობენ, არ არის სტუ-
დენტთა საზოგადოებები და სა-
თვისტომოები, მაგრამ სტუდენტე-
ბის უმეტესს ნაწილს მჭიდრო კავ-
შირი აქვს ლენინგრადში მცხოვ-
რებ ქართველთა სათვისტო-
მოსთან, რომელიც ნაყოფიერ
მუშაობას ეწევა, რეგულარულად
აწყობს შეხვედრებსა და საღამო-
ებს. ჩვენი იქ ყოფნის დროს ქა-
ლაქის ცენტრში, ნევის პროსპექტ-
ზე, სათვისტომომ ფართოდ აღ-
ნიშნა 26 მაისის დღესასწაული.
სათვისტომომ თავისი მონდომე-
ბული მუშაობით, საინტერესო
ლონისძიებებითა და სწორი პო-
ლიტიკურ-ეროვნული ორიენტა-
ციით ადვილობრივი მოსახლეო-
ბის სიმპატიებსა და მხარდაჭერას
მიანიჭა. ჩვენ შევხვდით და ვე-
ლაპარაკეთ სათვისტომოს წამყვან
წარმომადგენლებს ვლენტინა სი-
ხარულიძესა და ვაჟა ჩაჩიბაიას,
რომელთაც ჩვენთვის საინტერე-
სო მრავალი ინფორმაცია მოგვა-
წოდეს და მათ შორის ისიც, რომ
ქართველთა ლენინგრადის სათ-
ვისტომოს ხელი მიუწყდება მრ-
ველ ქართულ საარტიფო მასალა-
ზე, რომლებიც ჯერ შეუსწავლე-
ლია და რომლებიც მოითხოვენ
სისტემატიზაციასა და სათანადო
დამუშავებას. მათ გამოთქვეს აზ-
რი, რომ კარგი იქნებოდა, თუკი
ნათლის უნივერსიტეტი გამო-
ნახავდა საშუალებას და გაავზა-
ვნიდა ლენინგრადში ახალგაზრდა
სპეციალისტს, რომელიც მოკი-
დებდა ამ პრობლემის შესწავლას
ხელს.

სხვადასხვა ქალაქების ქარ-
თველ სტუდენტებთან გულახდილ
საუბრებისას მრავალი საჭირო-
ბოტო საკითხებიც წამოიჭრა. ბე-
რი ახალგაზრდისათვის სწავლა,
სტუდენტობა მეორეხარისხოვანი
მომენტია, საშუალებაა ამა თუ იმ
ქალაქში დროებითი დამაგრეო-
ბისათვის. სადაც შესაძლებელია
სხვადასხვა მაქინაციებით ფულის
მოხვევა. როსტოვში სტუდენ-
ტებმა გვითხრეს, რომ არც თუ
ისე იშვიათია ქართველი სტუ-
დენტი, რომელიც 6-7 წელი ერთ
კურსზე სწავლობს. ხშირია შემ-
თხვევა, როდესაც სტუდენტი

უღლი აკადემიური მსწავლედ
მო ირიცხება ინსტიტუტიდან.
ის კი მშობლებს უმალავს ამ
ფაქტს, იმ იმედით რომ ხელახლა
მოახერხებს ჩარიცხვას, რომელსაც
ცხადია ბევრი ალწვეს. მათი
მოტყუებული მშობლები კი, ალ-
ბათ, წელში წყდებიან სუცილე-
ბელი, ყოველთვისური სახარჯავი
ფული რომ გაუგზავნონ შვილს
და მოუთმენლად ელიან იმ დღეს,
როდესაც უმალესი განათლების
დიპლომითა და ცოდნით შეიარა-
ლებული შვილი დაუბრუნდება
ოჯახს. დამეთანხმებით, რომ სა-
ვალალო სურათია. რუსეთის ქა-
ლაქების ქართველმა სტუდენტე-
ბმა აღნიშნეს, რომ არცთუ ისე
იშვიათია კონფლიქტი ახალგაზრ-
დებს შორის ეროვნულ ნიადაგ-
ზე. სტუდენტებმა გულახდილ
საუბრისას ისიც განაცხადეს, რომ
ქართველი ახალგაზრდების ერთი
ნაწილისათვის უცხო არ არის
რეკეტულ მოძრაობასთან და ნარ-
კოტიკებთან სახლოვე. სერიო-
ზული განაცხადია ჩვენის მხრი-
დან, მაგრამ საშისოროებიდან თა-
ვის დაღწევის სირაქლემას ხერხი
ჩვენ არ გამოგვაღდება.

ზემოთ აღნიშნული პრობლე-
მები, ალბათ, საქარისია იმისათ-
ვის, რომ რესპუბლიკამ მიმართოს
სათანადო ღონისძიებებს. ალბათ,
საჭიროა მონახოს საქართველოს
გარეთ მოსწავლე ქართველ სტუ-
დენტობასთან ურთიერთობის რა-
იმე ფორმა. ასეთი კატეგორიის
სტუდენტები სწავლის მთელ მან-
ძილზე თითქმის მთლიანად მო-
წყვეტილი არიან სამშობლოს.
სამშობლო კი თითქმის არაფერს
ან ვერაფერს აკეთებს იმისათვის,
რომ მათ იგრძნონ თანადგობა,
იგრძნონ ის, რომ ისინი საქარ-
თველოს ისეთივე შვილები არიან,
როგორც ადგილობრივი სტუ-
დენტები.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე
რესპუბლიკის აქვს ასეთ სტუ-
დენტებთან ურთიერთობის მისა-
ღები ფორმა შემუშავებული. ლა-
ტვიისა და ლიტვის რესპუბლი-
კების განათლების სამინისტრო-
ებთან შექმნილია სპეციალური
კომისიები, რომლებიც წელიწად-
ში ორჯერ ესტუმრებიან იმ ქა-
ლაქებს, სადაც თავიანთი სტუ-
დენტები ეგულბათ. ეს კომისი-
ები ეწინააღმდეგებიან პრობლემებს
და შესაბამისად, ჯხმარებიან მათ
გადაწყვეტაში. როგორც ლიტვი-
ისა და ლატვიის რესპუბლიკების
სტუდენტებთან საუბარში გაირ-
კვა, მათ თავიანთი რესპუბლიკები
უნდაინ დამატებით სტიპენდიე-
საც — 300-400 მანეთს წელიწად-
ში. დამატებითი სტიპენდიის ოდენ-
ობა განისაზღვრება სტუდენტის
ოჯახური მდგომარეობით: თუ
სტუდენტი დაოჯახებულია, სტი-
პენდიაც შესაბამისად მეტია. ყო-
ველ ახალშექმნილ „შვილზე“ იმა-
ტებს სტიპენდიის ოდენობა, თუ-
ცა წელიწადში 400 მანეთზე მეტ-
ლა არ აღის. მოსკოვში ყოფნის
დროს გაირკვა, რომ აზერბაიჯან-
საც ანალოგიური ღონისძიების
გატარება აქვს განზრახული.
აზერბაიჯანელი სტუდენტები და-
მატებით სტიპენდიებს, როგორც
თვითონ განაცხადეს, მიმდინარე
წლის სექტემბრიდან ელიან.

ცხადია, საქართველოს არ შე-
უძლია ყველა ქართველ სტუ-
დენტს, რომელიც რესპუბლიკის
გარეთ სწავლობს, დაუნიშნოს და-
მატებითი სტიპენდია, მაგრამ,
ალბათ, შესაძლებელია სტიპენდი-
ები გაიცეს ოჯახთან სტუდენტე-
ბზე და იმათზეც, რომლებიც გა-
ნიცდიან მატერიალურ ხელმოკ-
ლეობას.
აუცილებლად მიგვაჩნია, გა-
ვიზიაროთ ბალტიის რესპუბლი-
კების გამოცდილება, რომელიც
მათ გააჩნიათ რესპუბლიკის გა-
რეთ მოსწავლე სტუდენტებთან
ურთიერთობის საკითხში. საქა-
რთა შექმნას ჯგუფები, გენბავთ
კომისიები, რომლებიც მუდამ
მყარ კონტაქტებს დამყარებენ
საქართველოს გარეთ მოსწავლე
ჩვენ სტუდენტებთან.
ფიქრობთ, რომ ქართველი
საზოგადოება დაინტერესდება
წმინტობლი პრობლემებით და
აქტიურ მონაწილეობას მიიღებს
მათ გადაჭრაში.

სოსო კაპაშაძე,
საქართველოს კულტურის სა-
მინისტროს მეთოდენტის
უფროსი მეცნიერ-მუშაკი.




1990 წლის ერთი მოვლენის ქრონიკა


საქართველო
შენი ღირსი




9 მაისი



9 მაისი



9 მაისი



26 აგვისტო



ბელადის ქველი პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი


10 ივნისი



27 აგვისტო



28 აგვისტო



28 აგვისტო

ორშაბათს, 27 აგვისტოს გვიან ღამე თბილისში აღდგა ლენინის ძეგლი.

ამ ფოტოებზე, რომლებიც ჩვენმა ხატიკალოზმა ფოტოკორესპონდენტმა ბადრი-ვადაკორიამ გადაიღო, აღბეჭდილია მხოლოდ მერსედის მოვლენების ქრონიკა სწორედ ლენინის ძეგლის აღება-არაღებასთან დაკავშირებით.

ეს ის ფოტოებია, რომელთაც არავითარი კომენტარი არ სჭირდება. მათზე კარგად ჩანს თუ რამდენი ენერჯია, ძალისხმევა დასჭირდა იმის მიღწევას, რაც დღეს უკვე ჩვეულებრივი და მისაღებია. არადა ამის წარმოდგენა ხელ ცოტა ხნის წინათ ძალიან ძნელი იყო.

ქეშმარიტად, რა ხწრაფად გადაფხდა ის ღირებულებანი, რასაც ათწლეულები უცილობელ ქეშმარიტებად გვიხალბდნენ. რაოდენ ხიზოლურია ისიც, რომ ძეგლის დემონტაჟი დაემთხვა დიდ რელიგიურ დღესასწაულს — მარიაშობას.

პითაგაპოთ თუ არა ფეხბურთი?

პირველი გიგლიორთიკა



რამდენი მოსალოდნელი იყო, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილ წერილს ამ სათაურით (იხილეთ 28 აგვისტოს „ახალგაზრდა ივერიელი“) შეითხველთა დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

ჩვენ ხარდაქცეო ფოსტაში დღესაც არ წყდება წერილების ნაკადი, რომლებშიც ავტორები თავიანთ საინტერესო და მეტად სახარგებლო მოხაზრებებს გამოთქვამენ ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატისა და კონკრეტულად, თბილისის „იბერიის“ შესახებ...

ყველა ავტორს თავისი პირადი შეხედულება გააჩნია კონკრეტული ფაქტის შესახებ (იგულისხმება 21 აგვისტოს დიღმის ბაზაზე გამართული პრეკონფერენცია), მაგრამ ერთი რამ ცხადია — თითოე-

ული ავტორი ქართული ფეხბურთის კვლევითი თაყვანისმცემელი და, რაც მთავარია, მისი ერთგული გულშემატიკარია.

რედაქცია მადლობას უხდის წერილების ავტორებს — ვია ბესე-ლაშვილს (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხტულენტი), თამაზ ანთიას (გაღის რაიონის სოფელ წარჩეს ფიზკულტურის მასწავლებელი), გივი გელაშვილს (იხტიორიკოსი), მათა მიქაბერიძეს (თბილისის 112-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე) და კიდევ სხვა მრავალთ, რომლებიც ოპერატიულად გამოხმაურდნენ ამ არც თუ ადვილად გადასაჭრელ პრობლემას. სამწუხაროდ, კვლავ გვინდა გავიმეოროთ, რომ ველოდებით სპეციალისტთა მოხაზრებებსაც, მაგრამ რატომღაც ისინი კვლავ დღემდე...

დღეს გთავაზობთ ქართული ფეხბურთის გულშემატიკართა ორი წერილის ფრაგმენტებს, რომლებშიც, ჩვენი აზრით, შესაძლოა მიუღებელი მოხაზრებებიც იყოს გამოთქმული, მაგრამ, ვფიქრობთ, მათაც აქვთ არსებობის უფლება.



ფეხბურთის გულშემატიკართა ორი წერილის ფრაგმენტებს...

რატომ გაამირბისარ?!

სახელის გამოცვლით შინაარსი არ იცვლება. ეს კვლევითი კვლევის დასკვნაა. თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა კუნძულის მავალითხე.

თბილისის „დინამო“ თავისი შინაარსით ყოველთვის იყო იმპერიული გუნდი. ფეხბურთის დიდი იმპერია ყოველთვის ცდილობდა ყველა მასში შემავალი სტრუქტურა ასევე უწყებრივი იმპერიული ხასიათისა ჰქონოდა, თანესი ხელმძღვანელობით და მათი ქვეშევრდომობით და ა. შ.

და აი, მოხდა მოულოდნელი. ფეხბურთის დიდი იმპერია იმსხვრევა. რა თქმა უნდა, იმსხვრევა პატარა იმპერიებიც. უკურნავადი მსხვრევაზე, გასაგებია, განსაკუთრებით მტკივნეულია იმათთვის, ვინც იმპერიული სტრუქტურების დიდ და პატარა მწვერვალებზე იმყოფებოდა.

და, აი, ამ უშვად ფეხბურთის პატარა იმპერიის მანქანაც. 21 აგვისტოს, თბილისის „დინამოს“ ბაზაზე ეწყობა პრესკონფერენცია, სადაც ტყუილისა და დეზინფორმაციის ტოლები ასკდება მოსულთ. სასწრაფოდ, 23 აგვისტოს, პრესკონფერენციის ანგარიში ქვეყნდება არა სადმე სხვაგან, არამედ კომპარტიის ცკ-ის რუსულენოვან ორგანოში „ზარია ვოსტოკაში“. რა თქმა უნდა, ორი დღის შემდეგ იგვევ ანვარიში, ოდნოდ, ოდნოდ გადასხევაფერებული, გადაიხელება „იხტიორის“ აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

არა ჩასცე ლახვარი ზურგში მოყვარესა შენსა...

გუნდის ხელმძღვანელები მისტირიან იმას, რომ მათ თამაშებზე მაყურებელი არ დადის და ვისთვისაა უნდა ითამაშონ?! ჭერ ერთი, დადის და აეანსებასც კი იძლევა იმ 12 ათასი აბონემენტის სახით, რომლებიც თვალდახუჭულმა შესისყიდა სეზონის დაწყებამდე.

პითაგაპოთ თუ არა ფეხბურთი?

მართალია, ის რაოდენობა აღარ დადის, რაც ადრე დადიოდა, მაგრამ ვისი ბრალია ეს? ვისი და თვით გუნდის. როგორც ზემოთ მოტახსენეთ, თაყვანითი პრიმიტიული, ანტიეროვნული პოზიციით თავიანთი თავის წინააღმდეგ განაწყვეს მაყურებლების ადრე ერთგული ერთი ნაწილი. შემდეგ ერთგული პირველობის მსვლელობაში, თაყვანითი უსიცოცხლო და უსუსური თამაში ჩამოიშორეს მეორე ნაწილიც.

ყველა ეს „უბედურება“ მოგონილიც რომ არ იყოს, არ უნდა ამოუდგე შენს ერს მხარში თავისუფლებისათვის ბრძოლაში და უნდა მისტირიო „პუშას“ ბუციებს? თუ გულით გინდა, ყოველგვარ დაბრკოლებას გადალახავ, რის მაგალითსაც გვაძლევენ სიხუმის, რუსთაველის, ქუთაისისა და სხვა ქალაქების გუნდები.

მაყურებელთა თამაშებზე დასწრების პრობლემა ცოტა ხნით მასზე შეჩერებას მოითხოვს. არ არსებობს თამაშების რეკლამა. ბევრი რესპუბლიკური გაზეთი აშკარა ბოიკოტს უტყობს ეროვნულ პირველობას. არამც თუ რეკლამა, თამაშების შედეგები და სატურნირო ცხრილიც კი არ ქვეყნდება მათში. სამაგიეროდ, აქ შეიძლება შეგხვდეთ, რომ „ბაიერნმა“ დაამარცხა „აუსერსლავტერნი“ და არის, აგრეთვე საბასუნო მატჩის შედეგიც, მაგრამ ვერ გაიგებთ, თუ რა შედეგით ითამაშეს „სანავარდომ“ და „გორდამ“, და არის თუ არა საერთოდ ასეთი გუნდები.

თბილისის ეროვნულ სტადიონზე მოსულ კაცს მეორეჯერ არ მიუბრუნდება გული იქ მისასვლელად, რადგანაც უსუსულობა და განუკითხავობა სუფევს ყოველ ნაბიჯზე. ესეც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ მართო სახელის გამოცვლით შინაარსს არაფერი ეშველება. თუ სტადიონზე ორი ბილეთი გაიყიდა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ტრიბუნაზე ორი მაყურებელი იჯდა, არამედ იმას,

რომ ორი ათასმა კაცმა კონტროლიორებს ჩაუხჩრიალა ვიბეში ხურდა. სტადიონის დირექცია იძლევა ცნობას, რომ ამა და ამ მატჩს დაესწრო 2583 მაყურებელიო. საინტერესოა, როგორ ითვლიან? საჯდომებზე ელექტრონული მთვლელები აქვთ ჩამონტაჟებული, რომელიც ცენტრალურ კომპიუტერზეა შეერთებული თუ იქნებ ვინმე დადის რიგებს შორის და ითვით ითვლის მოსულთ?.. თუ გაყოფილ ბილეთებს გულისხმობენ, მაშინ 12 ათასი გაყოფილი აბონემენტების მფლობელები არ არიან ანგაროშში? ან უბილეთოთ შემოსულები და სხვანი? ელექტრონიკა კი არა, სკამებიც კი წესიერად ვერ შეუდგებიან, თუმცა, სტადიონის დირექციას არც სხვები ჩამორჩებიან ფანტაზიორობის უნარით. საინტერესოა, თუ მოიძებნება საქართველოში ერთი კაცი მაინც, რომელიც დაიჭრება, რომ ქვეყნიას შესაძენად „ბორდო“ ერთ მილიონ დოლარს იხილდა?..

ესე კი, თუ რომელიმე ფეხბურთელს საზღვარგარეთის კლუბი სთავაზობს კარგ კონტრაქტს, მას მხოლოდ ხელი უნდა შეეშუყოთ, რადგან ეს ყველასათვის ხელსაყრელია.

თბილისი „იბერიის“ გუნდი სერიოზულ რეკონსტრუქციას მოითხოვს. სასწრაფოდ უნდა ჩამოევიცილოთ დილუტანტი „პროფესიონალები“, შემთხვევითი პირები და „მოკლი“ ფეხბურთელები. ...ჩვენ გვჭირდება მორალურად ჯანსაღი ეროვნული პირველობა და შედეგადაც მალე მივიღებთ... გჯეროდეთ!

კონსტანტინე კვიციანი

„იბერია“ უნდა შევიწინაროთ...

წავიკითხე თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული წერილი — „ვი-თამაშით თუ არა ფეხბურთი?“. რომელშიც საქმე ეხება არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენი საყვარელი გუნდის — თბილისის „იბერიის“ ყოფნა-არყოფნას...

სხვისი არ ვიცი, მაგრამ პირადად მე, უზომოდ გულდამწყვეტილი და გაოგნებული ვარ საკითხის ასე დაყენებით.

მე აქ წერილის გარეგნულად არ შეგუდგები, მხოლოდ ის მინდა, რომ წერილის ანალიზზე დაყრდნობით ძალიან დიდი თხოვნით მივმართო ყველას, ვისაც ჩემსავით უზომოდ უყვარს ფეხბურთი და კერძოდ, თბილისის „იბერია“: მეგობრებო! გუნდს საკმაოდ ბევრი პრობლემა დაუგროვდა, რომლებიც გულშემატიკართა მხრიდანაც მოითხოვენ გადაწყვეტას. განა დასაშვებია, რომ ამ, სახელგანთქმულ გუნდს დღეს არ ჰყავს გულშემატიკართა კლუბი? კლუბის ყოფილმა თავმჯდომარემ ეს იმით ახსნა, რომ თურმე კლუბში არც ერთი წევრი არ დარჩენილა. ეს სასაცილოა და ცოტა არ იყოს, თავის შემადგენლობით!

თბილისის „იბერიის“ გუნდი სერიოზულ რეკონსტრუქციას მოითხოვს. სასწრაფოდ უნდა ჩამოევიცილოთ დილუტანტი „პროფესიონალები“, შემთხვევითი პირები და „მოკლი“ ფეხბურთელები. ...ჩვენ გვჭირდება მორალურად ჯანსაღი ეროვნული პირველობა და შედეგადაც მალე მივიღებთ... გჯეროდეთ!

კონსტანტინე კვიციანი

კენჭისყრა

სუთმაბათს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გაიმართა საქართველოს თასის გათამაშების მეთხუთმეტედიანობის კენჭისყრა. კენჭისყრის შემდეგ გუნდები შემდგენიარად დაწყვილდნენ:

„იბერია“ (თბილისი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი);

„გორდა“ (რუსთავი) — „ცხუმი“ (სოხუმი);

„გურია“ (ლანჩხუთი) — „ქუთაისი“ (ქუთაისი);

„მერცხალი“ (ოზურგეთი) — „ბათუმი“ (ბათუმი).

პირველი მატჩები გაიმართება 5 სექტემბერს, განმეორებითი კი 19 სექტემბერს.

პატივისცემით
მამუკა გიგინაშვილი

საბავშვო სოციალისტური მოკვლევითი მსოფლიო და ამავე ასოციაციის ფონდის „არტო“ ჟურნალის სახსოვრები

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81; სახუბისმგებელი მდივანი — 98-31-58; წერილების განყოფილება — 98-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდება.

საქართველოს კა კვ-ის ტანმა 380096, თბილისი-96, მ. კონსტავს ქ. № 14, იხეილება ოფეტური წებით ხაჯაეთი კორპუსში, სომხარულის № 29 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15. Наш индекс 66400

რედაქტორი
მარკა პალარაიშვილი